ცნობის ფურცელი

№ 2556 შაბათი, 17 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2556

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

წავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას არტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამგვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. **გიგინეიშვილი.**

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—6)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. იფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. —8 საათამდე.

მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მძ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და სა- ბით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ხელის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. **წამლობა ელექტრონით.**
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაევი
იღებს შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით 1—3 და საღამოთი 5—8 საათამდე.
სამყისი მიხეილის ქუჩისა № 47. (10—253—2)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით, საბჭო ამა წლის სექტემბრიდან დაბა **ჭიათურაში აარსებს ექვს კლასიან საქალაქო სასწავლებელს,** რომელსაც არ ქნება ორი პირველი განყოფილება.

საბჭო სთხოვს იმათ, ვისაც სურვილი და უფლება აქვთ მიიღონ ხსენებულ საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორისა, სამღვთო სჯულის მასწავლებლისა და მასწავლებლის ადგილები, გაჰგზავნონ ქუთაისს, მრეწველთა საბჭოში თავისი განცხადებანი 26 ივლისამდე. ამასთან სასურველია, განცხადებებში აღნიშნული იყოს, მთხოვნელებს ჰქონიათ თუ არა პრაქტიკა ქართულ ენის მასწავლებლობისა, ხაზვისა და ხატვისა. **ჯამაგირი** ექნება: ინსპექტორს—**1760** მანეთი, სამღვთო სჯულის მასწავლებელს—**480** მან. და მასწავლებელს 1008 მან. (3—6.—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი

ტოკიო. („რეიტ. სააგენტო“). დაშიჩაოსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ იტყობინებიან, რომ გენერალმა ოკუმ შაბათს მიიტანა იერიში დაშიჩაოზე. რუსებს ეჭირათ გამაგრებული პოზიციები დაშიჩაოს სამხრეთით, რკინის გზის ლიანდაგის დასავლეთით მდებარე მაღლობზე. კვირა დილას რუსებმა საომრად გაამწკრივეს თავისი ჯარი; ოკუს ანგარიშით რუსებს აქ ჰყავდათ 5 დივიზია 100 ზარბაზნით. რუსების ზარბაზნების სროლამ შეაჩერა იაპონელების იერიში და ოკუმ გადასწყვიტა დაღამებამდე გადასდოს ხელახლავ იერიშის მიტანა. რუსების ორი დივიზია საიშინგისაკენ მიმავალ გზაზე იდგა. საღამოს 10 საათზე იაპონელთა ჯარის მთელმა მარჯვენა ფრთემ უეცრად იერიში მიიტანა რუსებზე. ტაიტინლინიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით იაპონელებმა ადვილად დაიპყრეს რუსების პოზიციები. შუაღამისას იაპონელებმა იერიში მიიტანეს რუსების მეორე პოზიციაზე. გათენებისას იაპონელებმა წაართვეს რუსებს შონშანშიპუს აღმოსავლეთით მდებარე პოზიციები. ბოლოს რუსებმა დაიწიეს დაშიჩაოდან, იაპონელები-კი სდევნიდნენ მათ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები: „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროპატკინს ყოველ დღე ახალ-ახალ ჯარს უგზავნიან. ამ ჟამად საკმაოდ ძლიერი ჯარი ჰყავს რუსეთს მანჯურიაში, ეგაა, ეს ჯარი ძლიერ დიდ მანძილზეა გაფანტული, მთავარ-სადგომზე ძლიერაა დაშორებული და ერთს სარდალს ემორჩილება. იაპონელების ჯარი კი სამ არმიადაა გაყოფილი და სამის სარდლის ხელმძღვანელობით მოქმედებს და მარდად მოძრაობს. იაპონელების მაგალითით რუსეთის მთავარ შტაბმაც გადასწყვიტა, მანჯურიის ჯარი ორ არმიად გაეყოთო. პირველ არმიის უფროსად ისევ გენ. კუროპატკინი დარჩება, მეორე არმიის უფროსად-კი ან მთავარ შტაბის აკადემიის უფროსად ნამყოფი გენ. სუხოტინი დაინიშნება და ან კიევის სამხედრო ოლქის უფროსი გენ. სუხომლინოვი; ორივე არმიის მთავარ-სარდლად ნამესტნიკი ალექსეევი დაინიშნება. ბოლოს კორესპონდენტი ამბობს: რუსის მთავარ-შტაბის უმაღლესმა აფიცერმა მითხრა, ეხლანდელი ომი 1905 წლის გაზაფხულამდე გასტანსო, ამიტომ წლის გასვლამდე მანჯურიაში ჯარის გზავნას არ მოვიშლით; აგვისტოში ჯარის გზავნა გაგვიადვილდება, რადგან ბაიკალის გარშემო რკინის გზა მზად იქნებაო. („რ. ს.“)

„სტანდარდ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: გენ კუროპატკინს ვაფანგოუსთან ბრძოლის შემდეგ 60 ათასი კაცი მაინც მოუმატებოდაო. თუმცა სრულებით არ ვიცით, სად რამდენი ჯარი უდგათ რუსებს, მაგრამ ის-კი კარგად ვიცით, რომ რუსის ჯარი უფრო ვაკე ადგილას დგას და მანჯურიის რკინის გზაც თავის ხელთა აქვს. იაპონელების ჯარი-კი მთიან ადგილებში დგას და მეტად ცუდი გზები აქვს გამოსავლელიო. („პ. ვ.“).

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: გენ. კუროკის მოწინავე რაზმები ამ ჟამად ლიაოიანს გარშემო დგანან, რუსების პოზიციებიდან 30 კილომეტრის მანძილზეო. („რ. ლ.“).

ჩინური გაზ. „სინვენბაო“ იუწყება: რუსებს ლიაოიანში 119 ლოკომოტივი და 1,300 ვაგონი აქვთ დამზადებული ჯარისა, იარაღისა და სამხედრო სურსათის გადასაზიდად ლიაოიანიდან ჩრდილოეთისაკენაო. („რ. ლ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: მე-17 კორპუსის უფროსი მუკდენში ჩავიდაო.

პორტ-არტურიდან მოსულმა ჩინელმა ილაპარაკა ჩიფუში, 8 ივლისს იაპონელების ნაღმიანი გემები რუსის ესკადრას დაეცნენო. („რ. ლ.“).

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ადმირალ ტოგოს ესკადრას ყოველ დღე 1500 ტონა (1 ტონა 62 ფუთია) სიკვები სურსათი მოსდისო.

იაპონური გაზ. „ასახი“ იუწყება: იაპონიაში ახალი კერძო საზოგადოება დაარსდა მეომართა ოჯახების დასახმარებლადაო. საზოგადოებას შემწეობა ეძლევა მთავრობისაგან და დიდძალი შეწირულობა მოსდის კერძო ხალხისაგან. ამას გარდა, მეომართა ოჯახების დასახმარებლად მთავრობამ განსაკუთრებული კომიტეტი დააარსა. ათის წლის წინად, ჩინეთთან ომის დროს ამნაირი საზოგადოება არა ყოფილა და მეომართა ოჯახები დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. ეხლა-კი მთავრობისა და საზოგადოების შემწეობამ და ზრუნვამ მეომრები გაამხნევა. ქონებრივ შემწეობას გარდა მეომართა ოჯახებს ზნეობრივ დახმარებასაც უწევს საზოგადოება. („რ.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: მანჯურიიდან ამბავი მოვიდა, რუსები ბრძოლის დროს დაჭრილ და მოკლულ იაპონელებს თოკით ცხენებს მოაბმენ ხოლმე და დედამიწაზე დაათრევენო. („რ.).

იაპონელი პრინცი ფუშიმა. იაპონური გაზ. „ნიპონ“-ი სწერს: პირველ დივიზიის უფროსმა პრინცმა ფუშიმამ ცინჩოუსთან ბრძოლის დროს მეტად ლაღი ვაჟკაცობა გამოიჩინა. აფიცრებმა ბევრჯერ ურჩიეს, სხვა უფრო უშიშარ ადგილას დადექითო, მაგრამ პრინცმა ფეხი არ მოიცვალა, თუმცა გვერდზე რუსის ყუმბარები სკდებოდა და პრინცის ტანისამოსი ბოლისაგანა და მტვრისაგან სულ გაშავდა. პრინცმა უთხრა აფიცრებს: სიკვდილისა რომ მშინებოდა, მანჯურიაში როდი წამოვიდოდიო. სადილად რომ დასხდნენ, პრინცის ახლო ყუმბარა გასკდა; ერთმა აფიცერმა სთქვა, სხვაგან გადავიტანოთ სუფრაო, მაგრამ პრინცმა მიუგო: ჯერ სადილი გავათავოთ და მერე გადავიდეთ სხვაგანაო. პრინცი არხეინად იჯდა და აფიცრებს ლუდს უსხამდა ჭიქებში. ბრძოლის შემდეგ, სანამ ბეჯითად არ დარწმუნდა, რომ სალდათები მოსასვენებლად დაბინავდნენო, პრინცი თავის სადგომში არ შევიდა. პრინცის საკვირველი გულადობა ყველასა ხიბლავს. პირველ დივიზიის აფიცრებმა და სალდათებმა მეტად საოცარი თავ-განწირულება გამოიჩინეს ცინჩოუსთან. ერთს აფიცერს ყუმბარის ნატეხი მოჰხვდა გულში, სამჯერ დაიძახა „ბანზაი!“ და სული დალია. ერთ მემუსიკე სალდათს გვერდში ტყვია მოჰხვდა, მაგრამ მაინც თავი არ გაანება თავის საკრავს და დაჭრილი სიგნალებს აძლევდა ჯარსა. ამისთანა მაგალითები მრავალი მოხდა პრინცის დივიზიაში. ამ ჟამად პირველი დივიზია პორტ-არტურთან მოქმედებს. („რ. ლ.“)

იაპონელების უღვთობაზე. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო კორესპონდენტი ცნობილი მწერალი ბ-ნი გარინი სწერს: მანჯურიაში ბეჯითად ავრცელებენ ხმას, ვითომ იაპონელები ბრძოლის დროს დაჭრილ რუსებს ჰკლავდნენ, სტანჯავდნენ და მოკლულთა გვამებს ასახიჩრებდნენო, მაგრამ ამ საქმეზე ჯერ ერთი ნამდვილი უტყუარი საბუთი ვერავინ ჩაიგდო ხელში.

— ვინ გითხრათ, რომ იაპონელები უღვთოდ ექცევიან დაჭრილებსაო, ვკითხე ერთს ნაცნობს.

— თვალით მნახველებმა.

— ვინაა ეგ თვალით მნახველი?

— ისაა, ვისაც თავის თვალით უნახავს.

— თქვენ თითონ გინახავთ?

— არა.

— მაშ ვინ გითხრათ?

— ვინაა? ჰკითხეთ X...; აგერ თითონაც მოდის.

— ჩემის თვალით არ მინახავს, მაგრამ იმას რა სჯობია, თითონ დაჭრილებსა ჰკითხეთ, მომიგო X...-მა.

— გზაში ყველა მოწინავე რაზმის სალდათებსა ვკითხე—ვუპასუხე,—ყველა სხვისაგან გაგონილს იმეორებდა, მაგრამ თავის თვალით-კი არავის ენახა. აი, ამას იქით დაშიცაოსა, ლიაოიანსა, მუკდენსა და ხარბინში, ერთის სიტყვით ყველგან ვკითხავ დაჭრილებს.

— იცით, რა გითხრათ. შეიძლება, რომ მაგ უღვთობას ჩინელებიც ჩადიოდნენ. უკანასკნელ ომის დროს, 1900 წელს, ბევრჯელ მოჰხდა მაგისთანა საქმე. მაგრამ ნურც იაპონელებსა და რუსებს დაუფიცავთ, მეტადრე რუსის ყაზახს... იაპონელები ყაზახებზე არიან გულმოსულები, ყაზახები იაპონელებზე...

უნდა გითხრათ, რომ დაშიჩაოდან დაწყებული ხარბინამდე ჯერ არც ერთ დაჭრილს არ უნახავს, რომ იაპონელებს ბრძოლის ველზე ან დაჭრილი რუსი მოეკლათ, ან მოკლული დაემახინჯებინოთ, ან ტყვეები დაეტანჯოთ. არა თუ თითონ არ უნახავთ თვალით, გაგონითაც-კი არ გაუგონიათ თვალით მნახველთაგან. ერთის სიტყვით, ლაპარაკი იაპონელების უღვთობას და ბოროტებაზე არაფერზე არაა დაფუძნებული. ეს სულ ტყუილი მითქმა-მოთქმაა. („ნ. დ.“).

სტუმრად ადმირალ ტოგოსთან. ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ: 4 ივლისს ადმირალ ტოგომ თავის ჯავშნიან გემ „მიკაზა“-ზე უცხოელი სამხედრო აგენტები და კორესპონდენტები მიიღო. აგენტები და კორესპონდენტები გემ „მამჯუმარუ“-თი („მანჯურია“) მოგზაურობენ. ადმირალმა ტოგომ ჯერ შვიდის სახელმწიფოს საზღვაო აგენტები მიიღო, მერე 30-მდე კორესპონდენტებ, აგენტებს ადმირალმა ყუმბარის ნატეხები უჩვენა ეს ყუმბარა „მიკაზა“-ს მოჰხვედროდა და ლეიტენანტი მაზომურა დაეჭრა თეძოში. ყუმბარის ნატეხის გვერდზე ლეიტენანტის იარის ფოტოგრაფიული სურათი ეკიდა. ადმ. ტოგო ჭაღარა კაცია, გარუჯულ სახით. სახეზე ეტყობა, რომ მოხერხებული და გულმაგარი კაცი უნდა იყოს და ბატონობის უნარი უნდა ჰქონდეს. ადმირალმა ტოგომ ჟურნალისტებს უთხრა: თქვენმა სტუმრობამ დიდად მასიამოვნაო. „ტაიმს“-ის კორესპონდენტმა ინგლისელების სახელით უპასუხა, „ასოსიეტედ პრეს“-ის კორესპონდენტმა ამერიკელების სახელით და იტალიელმა ჟურნალისტმა იტალიისა, საფრანგეთისა და სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოების სახელით უპასუხა. შამპანიური რომ დალიეს, საზღვაო აგენტებმა ადმირალს გამოჯვება უსურვეს. დილის 6 საათზე „მანჯურმარუ“ იაპონიის მოდარაჯე გემებს მიუახლოვდა და ჟურნალისტებმა შორიდან მთელი ფლოტი დაათვალიერეს. ამის შემდეგ „მანჯუმარუ“ ცინდაოს ბუხტას მიუახლოვდა. რეიდზე დიდძალი ნავი იდგა, ნაპირზე დიდი საწყობები სჩანდა. აქ უმთავრესი საწყობია გამართული ხმელეთის ჯარისათვის. გემიდან დაინახეს, რომ რეიდზე 20 მილის სიგრძე ჯაჭვი იყო გაბმული. თუ ვინიცობაა, რუსის ნაღმიანი გემები მოვლენ ბუხტაში და იაპო-

ნიის ტრანსპორტებს დაეცემიან, ეს ჯაჭვი დაუშლის. აქედან „მანჯუმარუ“ ტალიენვანის ბუხტისაკენ წავიდა, მაგრამ შიგ ბუხტაში არ შესულა,—ნაღმებისა შეეშინდა. გზა და გზა „მანჯუმარუ“-ს ბევრი სამხედრო და სატრანსპორტო გემი შეხვდა და ნაშუადღევის 2 საათზე ხელახლად მივიდა „მიკაზა“-სთან. ჯავშნიანი გემი „ასახი“ და რამდენიმე ნაღმიანი გემიც „მიკაზა“-ს გვერდზე იდგნენ. ყველა გემი დაუზიანებელი იყო, თუმცა წამალი, ცოტა არ იყოს, გადასული ჰქონდა გვერდებიდან. ჟურნალისტებმა ადმირალ ტოგოს ნებართვით გემები დაათვალიერეს. ხუთის თვის ბრძოლის შემდეგ მეზღვაურები მაინც კარგ კილოზე და ყოჩაღად არიან. იმპერატორის ნათესავმა პრინცმა კახომ იაპონიის პარლამენტის წევრები მიიღო გემ „მიკაზა“-ზე. ამის შემდეგ „მანჯუმარუ“ იაპონიისაკენ გაემართა. გამომშვიდობების დროს იაპონელმა მეზღვაურებმა „ბანზაი!“ შემოსძახეს. „მანჯუმარუ“ მაც სიგნალით გამარჯვება უსურვა იაპონიის ფლოტს. („ნ. დ.“).

ტყვე რუსები იაპონიაში. იაპონურ გაზ. „ძიჯი შიმპო“ სწერს: ტიურენჩენთან დატყვევებული 453 რუსი გემმა „კრომბო“-მ წამოიყვანა, 2 მაისს იაპონიაში მოვიდა და ტახაკამოს პორტში დადგა. ტყვეების სანახავად დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა ნავთ-სადგურში. ხალხმა თან პაპიროსები, სატკბილობელი და ნაირ-ნაირი საჩუქრები მოიტანა ტყვეებისათვის. პორტიდან ტყვეები ქალაქში წამოიყვანეს; ქუჩებში ხალხი წესიერად იქცეოდა დ ტყვეებისათვის უბრალო სიტყვითაც არ უწყენინებია. ყოველ ტყვე ოფიცერს იაპონიის მთავრობა სახარჯოდ 50 მან. აძლევს თვეში, სალდათს 20 მან. ტყვეებს გაცვეთილი და ტყვიისაგან დახვრეტილი ტანისამოსი ეცვათ, მაგრამ იაპონელებმა ახალი შეუკერეს. ტყვეებს ძლიერ უკვირდათ და უხაროდათ, რომ იაპონიაში ასე კარგად უვლიდნენ და ექცეოდნენ; ზოგს სიხარულისაგან ტირილი მოსდიოდა. დაჭრილები მასუიამას საავადმყოფოში დააწვინეს; ვისაც სიარული შეუძლიან, ნება აქვს მიცემული, საავადმყოფოს მიდამოებსა და გარშემო გორებზე თავისუფლად ისეირნოს. ექიმი დღეში ოთხჯერ ათვალიერებს ყველა ავადმყოფს.

იტალიურ გაზ. „კორიერა დელა სერა“-ს კორესპონდენტს კუნძულ მასუიამაზე ტყვე რუსები უნახავს. კორესპონდენტი სწერს: ტყვეები ხუთ სახლში დგანან; ყველანი კარგად არიან და იაპონელებს ემადლიერებიან. რუსებს ევროპიულ საჭმელებს უმზადებენ. ამბობენ, ტყვეები ერთი სამად მეტსა სჭამენ იაპონელებზეო. ტყვეებში 20% (ხუთ კაცში ერთი) პოლონელი ურევია. იაპონელები ცალკე ინახვენ პოლონელებს. მასუიამას საავადმყოფოში სულ 400 დაჭრილი და ავადმყოფი რუსი წევს. („ნ. ვ.“).

„ძიჯი შიმპო“ იუწყება: ქალ. მასუიამაში 9 მაისს გემ „კოლსაუმარუ“-თი 4 ევროპიელი ექიმი გაჰგზავნეს ტყვე რუსების მოსავლელად. მაისის დამდეგს ამ საავადმყოფოში კიდევ 124 რუსი მოვიდა ცინჩოუსთან დატყვევებული. ამათგან 118 დაჭრილი იყო. ამ ტყვეებისათვის ახალი საავადმყოფო ააშენეს. მძიმედ დაჭრილთაგან ერთი რუსი გარდაიცვალა და ერთიც უკანასკნელ დღეშია. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობამ უკვე დაამთავრა წარსულ სეზონის ანგარიშის შედგენა. რადგან სიცხეებია და წევრთა უმრავლესობა წასულია ქალაქიდან, გამგეობამ კრების დანიშვნა გადასდო აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოებას უზარალნია 3000 მან. განზრახულია მომავალ სეზონისთვის შესდგეს ამხანაგობა, რომელმაც ანტრეპრიზა უნდა იკისროს.

◆ ეს რამდენიმე წელიწადია მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი შეუდგა იმის ცდას, თუ სამხრეთ რუსეთისა და ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას როგორ **იხარებს და ივარგებს თამბაქო.** ცდამ გამოარკვია, რომ იქ, სადაც კარგად ვერა ხარობს საპური მცენარე, მშვენიერ ნაყოფს იძლევა თამბაქო, თუ, რასაკვირველია, მიწას განოყიერება არ აკლია. ეხლა დეპარტამენტს ინსტრუქტორები გაუგზავნია სამხრეთ-რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში გლეხთა შორის მეთამბაქოობის გასავრცელებლად.

◆ **რკინის გზაზე სამუშაოებს** იჯარით ხშირად ის ინჟენრები იღებენ, რომელნიც ამავე გზაზე სახელმწიფო სამსახურში არიან. გზათა სამინისტროს ასეთი საქციელი ინჟენერებისა უკანონოდ უცვნია. ამის გამო გზათა მინისტრს დაუვალებია ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის, დაუყოვნებლივ დაითხოვოს სახელმწიფო სამსახურიდან ისინი, რომელნიც არ მოისურვებენ თავი დაანებონ საიჯარო საქმეების აღებას. ამასთან რკინის გზის გამგეობამ თვალ ყური უნდა ადევნოს, რომ შემდეგში ასეთი მოვლენა აღარ მოხდეს.

◆ გაზეთებში ხშირად სწერდნენ, **თავ. ერისთავის ის მამული (12 დეს.) კასპში,** რომელიც ორი წელიწადია ტფილისის საბაღოსნო სკოლასა აქვს პრაქტიკულ მეცადინეობისათვის, გაიყიდა საჯარო ვაჭრობით და ეხლა საბაღოსნო სკოლა ახალ ადგილს ეძებსო. ეხლა, როგორც თვით თავ. ზ. ერისთავი სწერს. „ნოვ. ობ.„-ში მამულის გაყიდვა ფიქრადაც-კი არავის მოსვლია. პირიქით, თავ. ერისთავი ჰპირდება საბაღოსნო სკოლას 1335 დესეტინა მიწას, თუ ქალაქიდან სოფლად გადავა.

◆ **თავ. აკაკი წერეთლის და მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** მეთაურობით ქართული დრამატიული დასი მალე გაემგზავრება დასავლეთ საქართველოსაკენ ქართულ წარმოდგენების გასამართავად. ყოველ ქალაქში დასი გამართავს ორ წარმოდგენას—„თამარ-ცბიერს“ და „ღალატს“. ორსავე პიესისათვის დამზადებულია ახალი ტანთ-საცმელი და დეკორაციები.

◆ ტფილისის ქალაქის **სასანიტარო კომისიამ** სთხოვა ტფილისის მცხოვრებთ, მიაწოდონ კომისიას ცნობები ამა თუ იმ უბნის ანტისანიტარულ მდგომარეობის შესახებ.

◆ როგორც ვწერდით, უსახელო საზოგადოებამ ელექტრონის ტრამვაისათვის ქუჩებში უნდა გამართოს ბოძები მავთულების გასაბმელად. გუშინ ქალაქის საამშენებლო განყოფილებამ სთხოვა საზოგადოების დირექტორს, შეგვატყობინეთ, არ შეიძლება უსახელო საზოგადოებამ ისე მოაწყოს ბოძები, რომ ქალაქმაც ისარგებლოს და მავთულები გააბას ქუჩების ელექტრონით განათების დროსაო.

◆ ტფილისის მეპურეებმა აცნობეს მეპურეთა ამქრის უსტაბაშს, რომ რუსეთიდან დაბარებული ფქვილი აქ იმდენი არ გამოდის, რამდენიც აღნიშნულია თვით ტომრებზე. ამის მიზეზად მეპურეებმა ის დაასახელეს, რომ ვაჭრები ისეთ თხელ ტომრებით ჰგზავნიან ფქვილს, რომ ეს უკანასკნელი გამოდის და იბნევა. მეპურეთ დაავალეს უსტაბაშს, სთხოვოს ფირმებს რუსეთში, კარგის ტომრებით ჰგზავნონ ფქვილი.

◆ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ ჩუღურეთის სასწავლებლის მასწავლებელი ქალი ქ-ნი ქადანთაროვი დანიშნა ავლაბრის 1 სასწავლებლის გამგედ; ხოლო იმის ადგილზე გადაყვანილ იქმნა ავლაბრის 1 სასწავლებლის მასწავლებელი ნასიძე; ნასიძის ადგილზე დაინიშნა ქ-ნი ფირალოვისა.

◆ წყალდიდობის დროს დიდ ხევს კუკიაში ისეთი ძლიერი წყალი მოვარდება ხოლმე, რომ იქ მცხოვრებთ დიდს ზარალს აყენებს. გუშ ქალაქის ინჟენერმა საამშენებლო განყოფილებას წარუდგინა გეგმა დიდ ხევის გასამაგრებლად დღის ამოყვანის შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების ანგარიშით, ვერის არხის გადაკეთებას დასჭირდება 5569 მან.

◆ რედაქციამ მიიღო ი. გარსევანიშვილის გამოცემული წიგნი ახალი „ნატუსადარი“, მოთხრობა სიმონ მაისაშვილისა. ფასი ერთი შაური.

◆ ბელაგორი. ზვავი გასწმინდეს, მატარებლების მიმოსვლა დაიწყო მე-145 და მე-148 ვერსზე.

◆ ძეგამი. 15 ივლისს, დილის ათ საათზე, სახალხო მატარებელმა №-3 მე-404 ვერსზე გასრისა მოხუცი დედაკაცი, რკინის გზის დარაჯის დედ ტომით თათარი.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში, ლორის მელიქ ქუჩაზე, საათის ყიდვის დროს ასატურ ფარსემოვისათვის 15 ივლისს ვიღაც ჯიბგირებს ამოუცლიათ 105 მან. ჯიბგირები უკვე შეიპყრეს. იგინი აღმოჩნდნენ იაგორ ბეჟანოვი, ბაგრატ ტოროსოვი და ხარკოვის გუბერნიის მცხოვრები ნაუმ გუბსკი.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ვოსტ. ობოზრ.“-ში მოყვანილია მოსავლეთ ციმბირის ერთ სოფლის გაჭირვებულ გლეხთა საყურადღებო არზა, რომლითაც იმათ მთავრობასთან მიუმართავთ. არზაში სწერია: „ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერთ, დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილთ იმის გამო, რომ ჩვენი შვილები ომში წაიყვანეს, ახალი გასაჭირი მოგვადგა კარზე: ჩამოგვართვეს სახელმწიფო სათიბი ადგილი, რომლითაც დღემდე ვსარგებლობდით და ურომლისოდ გაძლება არ შეგვიძლია. გთხოვთ დაგვიბრუნოთ ეს ადგილი და ამით დიდ გაჭირვებისაგან გვიხსნათ“. არზაზე მრავალ გლეხს უწერია ხელი. არზის გადაცემა მინდეს ერთ გლეხს, რომელსაც დიდი მანძილი გაუვლია, ბევრი დრო დაუკარგავს და ბოლოს დაუბრუნებიათ მისთვის არზა ზედ-წარწერით: „თხოვნა უყურადღებოდაა დატოვებული, რადგან სასოფლო გამგეობის ბეჭედი არაა ზედ დასმულიო.“

◆ „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით, მოსკოვის საგუბერნიო ერობამ შუამდგომლობით მიმართა გუბერნატორს იმის შესახებ, რომ ნება მიეცა გამოეცათ პროგრამმა (გეგმა) საერო განათლების განზრახულ გამოფენისა. პროგრამმა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთათვის უნდა გაეგზავნა ერობას მათი აზრის შესატყობად. მოსკოვის გუბერ

ფელეტონი

დროებით ვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვის შესახებ

IV

(დასასრული *)

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ დროებით ვალდებული გლეხი ნადელად მიზომილ სახნავ მიწაში მოსავლის მეოთხედს აძლევს მებატონეს. მაშასადამე, ნადელების დასაფასებლად უდიდეს საზომს ეს მეოთხედი შეადგენს და არა ის დიდი საჯარო ფასი, რომელსაც უმამულობით შევიწროვებული მოიჯარადრე აძლევს დღეს მემამულეს.

მაგრამ ეს არის maximum-ი, უკიდურესი საზღვარი, რომელსაც არ უნდა გადავსცილდეთ ნადელის ფასის გამოთვლის დროს. სამართლიანობა და ჩვენი ხალხის უმრავლესობის ეკონომიური ინტერესი მოითხოვს, რომ ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა ისეთ ფასში არ მოხდეს, რომელიც მძიმე აუტანელ ტვირთად დააწვება განთავისუფლებულ გლეხობას და ეხლანდელზე უარეს მდგომარეობაში ჩააყენებს მას. ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ასეთი გლეხებისთვის საზარალო შედეგი მოჰყვება ამ ჟამად განზრახულ საფინანსო ოპერაციას, თუ ნადელების დაფასებაში სახელმძღვანელო ნორმად მოსავლის მეოთხედი იქმნა მიღებული.

„მეოთხედი“ მცირე გადასახადი არ გახლავთ. მებატონეს მეოთხედი ეძლევა მიწის სრულ მოსავლიდან,—აქ გამოკლებული არაა გლეხების შრომა და ხარჯები. თუ ამ ხარჯებს მივიღებთ მხედველობაში და „მეოთხედს“ ცალკე გამოვითვლით, ვნახავთ, რომ გლეხს არა თუ არაფერი რჩება მიწის წმინდა შემოსავლიდან, არამედ პირიქით აძლევს თავის შრომას, რომ სავალდებულო „მეოთხედი“ შეავსოს და მებატონე გაასტუმროს.

ერთ წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იმერეთში, თუ ყოველ წელიწადს მოიხნა მიწა, დესეტინაზე 57 მან. 50 კაპ. საშუალო მოსავალი იქმნება (107 ფ. სიმინდი და 4 მან. ჩალა). წარმოების ხარჯები შეადგენს 35 მანეთს, მაშასადამე, მიწის წმინდა მოსავალი რჩება 22 მან. 50 კაპ. სრული მოსავლის მეოთხედი, რომელიც გლეხმა მებატონეს უნდა მისცეს, 14 მან. 37 კაპ. შეადგენს. ამ სახით, რენტად გადასახდელი „მეოთხედი“ წმინდა მოსავლის 64%-ს ეთანასწორება.

თითქმის ამდენივე %-ის შემცველი გამოდის „მეოთხედი“ ქართლშიაც. აქ, თუ მიწა ყოველ წელიწადს დაითესა, დესეტინის მოსავალი 41 მან. 70 კაპ. ეთანასწორება. წარმოების ხარჯებაა 23 მან. 75 კაპ., მაშასადამე, წმინდა მოსავალია 17 მან. 95 კაპ., ხოლო მებატონის „მეოთხედი“—10 მან. 42 კაპ. ანუ წმინდა მოსავლის 60%.

მაგრამ აქ გამოთვლილი რაოდენობა მოსავლისა ნამდვილზე ბევრად მეტია. აქ გამოდის, რომ ვითომ გლეხს, ყველა ხარჯების გამოკლების შემდეგ, დესეტინაზე რჩება მოგებად იმერეთში 8 მან. 13 კაპ. და ქართლში 7 მან. 53 კაპ. ნამდვილად კი მიწის მოსავალი არა თუ მოგებას არ იძლევა,—ხარჯებსაც კი არ ჰფარავს. ჩვენში, სადაც ნიადაგს ხელოვნურად არ ვანოყიერებთ, მიწა ყოველ წელიწადს ვერ დაითესება. ქართლში სამ წელიწადში და იმერეთში ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიწას დასვენება. ამ გარემოებაში-კი გლეხს დესეტინის ყოველ წლიური მოსავალი უმცირდება: იმერეთში იგი ეთანასწორება დაახლოვებით 43 მან. 12 კაპ. **) და ქართლში—27 მ. 80 კაპ. ხარჯი-კი შეადგენს: 45 მან. 78 კაპ. იმერეთში (35 მან. წარმოებაზე და 10 მან. 78 კაპ. მემამულის „მეოთხედი“) და 30 მან. 70 კაპ. ქართლში (23 მან. 70 კაპ. წარმოებისა და 6 მან. 95 კაპ. „მეოთხედი“) ***). მაშასადამე, გლეხი დესეტინაზე 2—3 მან. აგებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიწის ის მოსავალი, რომელიც მას რჩება, იმდენიც არაა, რომ მას საკუთარი შრომის საბაზრო ფასს აძლევდეს.

მკითხველს ეს მოვლენა არ უნდა გაუკვირდეს,—რომ გლეხი ზარალობს და, მიუხედავად ამისა, მაინც ეწევა მიწის მუშაობას და სასოფლო მეურნეობას. ყოველი მისი შრომა ჩვენ ფულად ვიანგარიშეთ და წარმოების ხარჯად ჩავთვალეთ. ნამდვილად-კი იგი თავის შრომას არ აფასებს, მით უფრო, რომ სხვა უფრო სარგებლიანი სამუშაო არ მოეპოვება, და ამიტომ ახერხებს მემამულესაც გაუსწორდეს და თვითონაც რამდენიმე თავის სარჩო მოიპოვოს. ეს, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგი დაქირავებულ მუშებს ამუშავებდეს და წარმოებაში ფულს იხდიდეს. მაშინ მეურნე ნათლად დაინახავდა, რომ მიწის მოსავალი ხარჯებს არ ასწორებს და რომ მას ასეთ პირობებში წარმართული მეურნეობა ზარალს აძლევს. ამის დამამტკიცებელი ფაქტები მრავლად მოიპოვება ეხლახან გამოცემულ ტომებში: Труды мѣстныхъ комитетовъ о нуждахъ с.-хозяйств. промышленности.

წარმოიდგინოთ ეხლა, რომ ნადელების შეფასებისა და გლეხებისაგან გადასახდელ ფულის განსაზღვრის დროს მოსავლის მეოთხედი იქმნა საფუძვლად მიღებული. რა ფასი მოუწევს გლეხებს დესეტინა სახნავ მიწაში გადასახდელად? როგორც ზევით აღვნიშნეთ, „მეოთხედი“ შეადგენს, როცა მიწას ასვენებენ და ყოველ წელიწადს არ სთესენ, იმერეთში 10 მან. 78 კაპ. და ქართლში 6 მან. 95 კაპ. ამ რენტის 6%-ის კვალობაზე კაპიტალიზაციით მიწის ფასი გამოდის: იმერეთში 179 მან. და ქართლში 116 მ.

ცხადია, ამოდენა ვალის სარგებლის გადახდას გლეხები ვერ შესძლებენ, რადგან დესეტინის მოსავლიდან ხარჯების გამოკლების შემდეგ იმდენი აღარ რჩება, რომ შეიძლებოდეს ამ ფულის სარგებლის გასწორება. დღეს გლეხი მიწის რენტას ნატურით იხდის. როცა მცირე მოსავალია, მასაც აკლდება და მებატონესაც ნადელის სავალდებულო გამოსყიდვის დაწესების შემდეგ-კი მან ეს რენტა ფულად უნდა გადაიხადოს ყო წელიწადს, მიუხედავად იმისა, წელიწადი მოსავლიანია თუ არა. ადვილი გასაგებია, რომ ეხლანდელ ნატურალურ გადასახადის ფულზე გადაყვანით და სახელმწიფოსაგან აღებულ სესხის ყოველწლიურ სარგებლის გადახდით იგი ბევრად უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, ვიდრე დღეს იმყოფება.

ვალით ნაყიდ მიწის ფასი უეჭველად შეთანხმებული უნდა იყოს მიწის შემოსავლიანობასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს მშრომელ სესხის სარგებლის თავის დროზე გადახდას და ვალის გადაწყვეტას. გლეხმა უნდა ირჩინოს თა არჩინოს ოჯახი, იხადოს სხვა-და-სხვა სახელმწიფო თუ სასოფლო გადასახადი. ყველა ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი მისთვის უმთავრესად მიწის მოსავალია. და, რასაკვირველია, იგი ვერც ერ ამას ვერ შესძლებს, თუ გასაყიდი მიწა ისე ძვი დად იქმნა შეფასებული, რომ მიწის მთელი წმინდა მოსავალი სესხის სარგებელმა წაიღოს და აღარაფერი დარჩა არც თავის სარჩენა გადასახადთა გასასტუმრებლად.

ამიტომ სანადელო მიწის შეფასებაში უ ვიხელმძღვანელოთ არა „მეოთხედით“ ან საზ გადოდ რენტის სიდიდით, არამედ მიწის მო ლით და მამულის სარგებლიანობით. უნდა გამ თვლილ იქმნეს წმინდა შემოსავალი და ეს უ განაწილდეს მემამულესა და მწარმოებელს შ რის. წმინდა შემოსავლიდან მწარმოებელს წილ იმდენი უნდა რჩებოდეს, რომ მიწის მუშაობ

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2536.

**) „ცნ. ფურც.“ № 2529-ში შეცდომით ნაჩვენებია 44—45 მან.

***) იხ. იქვე.

ნატორს უარი უთქვამს ერობის შუამდგომლობაზე.

◆ დონის როსტოვში, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ რუსეთის საყურადღებო სავაჭრო ქალაქს, მრავალი უკანონო ბავშვი იბადება, ამიტომ მიგდებული ბავშვების რიცხვი დიდია ხოლმე ყოველ წლივ. როსტოვის ქონ-შემოკრებილ პატრონებს-კი არ ჰქონიათ თავშესაფარი მიგდებულ ბავშვებისათვის, რომელთაც ქ. ტაგანროგში და ნოვოჩერკასკში ჰგზავნიდნენ აქამდის. ახლა-კი ამ ქალაქებს უარი უთქვამთ, რის გამო როსტოვის პოლიცია დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა. ადგილობრივ ბოქაულს 10 დღე თავის სახლში შეუნახავს ერთი მიგდებული ბავშვი, ძროხის რძით ჰკვებავდა თურმე და არ იცოდა რა ექნა. ბოლოს, საბედნიეროდ, ბოქაულის ხელ-ქვეით „გოროდოვოი"-ს ცოლს ბავშვი გაჩენია და ბოქაულს მისთვის გადაუცია მიგდებული ბავშვი: „დიდი თავი გაქვს და ჩემი სატირალი შენ იტირეო".

◆ „პეტ. ვედ."-ის კორესპონდენტმა ასწერა გაზეთში ამ ჟამად ციმბირის ზოგიერთ ადგილებში არსებული წარლვნის წინადროინდელი წესები. სხვათა შორის, ქ. კურგანის ფოსტის უფროსს აღმოუჩენია თავის საკეთილდღეოდ შემდეგი არა ჩვეულებრივი წყარო გამდიდრებისა. საფოსტო ეტლებით წერილებთან და სხვა-და-სხვა კორესპონდენციასთან ერთად, ამ ჩვენი დროის რაინდს საკუთრად გამოწერილი სხვა და სხვანაირი სავაჭრო საქონელი მისდის თურმე, რომელსაც წერილების მისაღებად მოსულთა შორის ასაღებს.

◆ რუსეთში ჩვეულებრად არის შემოღებული სოფლებსა და ქალაქებში ცნობილ ხატების დატარება. ერთ ამგვარ ხატს, „ნოვ. ვრ."-ს სიტყვით, ელოდნენ ამას წინად მახრის მონასტრიდან ვლადიმირის გუბერნიის ქ. კირჟაჩში. ბოლოს ამბავი მოვიდა, სასულიერო მთავრობამ აუკრძალა მახრის მონასტერს კირჟაჩში ხატის გაგზავნაო, რადგან კირჟაჩი და მახრა სხვა-და-სხვა გუბერნიებს ეკუთვნიანო.

◆ ციმბირის იმიერ-ბაიკალის მხრიდან მოდის სამწუხარო ამბები ნოდის ომის მიზეზით გამოწვეულ გაჭირვების შესახებ. შიმშილობაა. ხალხი გაიფანტა ლუკმაპურის საძებრად. ამას წინად ერთ სოფლიდან გაქცეულა საფოსტო სადგურის პატრონი, რომელსაც ხაზინა წელიწადში 225 მან. იჯარას აძლევდა, მაგრამ ყველაფერი ისე გაძვირებულა, რომ სადგურის პატრონი შიმშილს ითმენდა თურმე. ამ გადახვეწილს მეორე სადგურის პატრონიც გაჰყოლია.

◆ „პრ. კრ."-ს სწერენ, ქ. ტაგანროგის ოლქის დიდ სოფ. უსპენსკის გლეხები გაჭირვებაში ჩავარდნილან ომის გამო. ადგილობრივ მემამულეთაგან დიდი მამული უნდა ეყიდნათ საგლეხო სახელმწიფო ბანკის დახმარებით, საქმე თითქმის გათავებული იყო, როცა გლეხებს გამოუცხადეს, შორეულ აღმოსავლეთში ომის გამო ბანკში სესხის გაცემა შემცირებულია და დაპირებულ სესხს ველარ მოგცემთო.

◆ საერო განათლების სამინისტრომ მიმართა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ წინადადებით, ყოველნაირი საშუალება იხმარეთ, რომ თქვენს უწყებაში მყოფ უნივერსიტეტებში სწავლა დანიშნულ დროზე იწყებოდესო.

◆ სავაჭრო გამგეობა აცხადებს ფინანსთა მინისტრის მინდობილობით, რომ საზღვარ გარედ გავრცელებული ხმები წელს ნიჟეგოროდის ბაზრობის გაუქმების შესახებ სიმართლეს მოკლებულია და ბაზრობა ჩვეულებრივად 15 ივლისს დაიწყებაო.

◆ ერთ კერძო საზოგადოებას მთავრობამ ნება მისცა გამართოს ავტომობილებით (თვით-მოძრავ ეტლებით) მიმოსვლა ყირიმის სამხრეთ მხარეს იალტასა, სევასტოპოლსა და სიმფეროპოლს შუა.

◆ პეტერბურგის უმაღლეს საქალებო კურსებზე წელს 600 ქალს შეუტანია თხოვნა. წელს ამ კურსებზე 180 ქალი ასრულებს სწავლას, სულ კი 1100 ქალი ისმენს ლექციებს.

ვ. კ. ფონ-პლევე

გუშინ ტელეგრაფმა მოგვიტანა შინაგან საქმეთა მინისტრის ვეჩისლავ კონსტანტინეს ძის ფონ-პლევეს მოკვლის ამბავი.

ფონ-პლევე დაიბადა 1846 წელს, ასე რომ 58 წლისა ყოფილა. პეტერბურგის უნივერსიტეტში კურსის დამთავრების შემდეგ, პლევემ დაიწყო სამსახური სასამართლო უწყებაში. იყო ვლადიმირისა და ტულის საოლქო სასამართლოთა პროკურორის ამხანაგად, შემდეგ პროკურორად ვოლოგდაში, ვარშავის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგად და, ბოლოს, პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორად.

ამ უკანასკნელ თანამდებობაში ფონ-პლევემ თავი იჩინა პოლიტიკურ დანაშაულობათა აღმოჩენისა და გამორკვევის საქმეში, რომელთა რიცხვი მე-80 წლებში ერთობ ბევრი იყო. ამიტომ შემდეგ მთავრობამ ფონ-პლევე მიიწვია სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის უფროსად. მერე კი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

ამ ორს თანამდებობაში ფონ-პლევე მედგარი დამხმარე იყო ცნობილის მინისტრის დ. ტოლსტოისა. იმ დროს დაიწყო იმპერატორის ალექსანდრე მეორის რეფორმების გადასინჯვა, რასაც მოჰყვა ახალი დებულებანი ერობისა, საქალაქო თვით-მმართველობისა, უნივერსიტეტისა და სხვა. ფონ-პლევეს, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, მიმართულებაც ამ დროს ნათლად გამოირკვა: ის ერთგული მომხრე გამოდგა ისეთ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა მოძღვრებისა, როგორიც იყვნენ კ. პ. პობედონოსცევი და დ. ტოლსტოი. ამიტომ, როცა მე-80 წლების დასასრულ დაიბადა საკითხი ფინლიანდიაში დიდ-მნიშვნელოვან რეფორმების შემოღების შესახებ, რომელთა შემწეობით ფინლიანდია მკვიდრად უნდა შეეკავშირებინათ რუსეთთან, ახალ გეგმის განხორციელება გამოცდილსა და სანდო სახელმწიფო პირს, ფონ-პლევეს, მიანდეს. სტატს-სეკრეტარი ფონ-პლევე ბეჯითად შეუდგა საქმეს.

ბოლოს, როდესაც მინისტრი სიპიაგინი 1902 წელს მოკლულ იქმნა, ხელმწიფე იმპერატორმა მოუწოდა ფონ-პლევეს და შინაგან საქმეთა მინისტრობა დაავალა.

ახლად გარდაცვალებული მინისტრი დიდათ ენერგიული სახელმწიფო მოღვაწე იყო და მტკიცედ ასრულებდა თავის წინამოადგილეების მიმართულებას იმათ პრაქტიკულ ღონისძიებათ თანამედროვე წესრიგის დასაცველად...

პრესსა

ამას წინად ერთი მეტად საყურადღებო უმაღლესი ბრძანება გამოიცა: ლიტველებს დაუბრუნეს მათი წინანდელი—ლათინური—ანბანი, რომლის მაგიერ 1863 წლის შემდეგ შემოღებული იყო სლავიანური ანბანი. ეს განკარგულება რუსეთის პრესსამ აღუნიშვნელად დასტოვა, სამაგიეროდ საზღვარ-გარედ ამის გამო ბევრი ულაპარაკნიათ როგორც პრესსაში, ისე საზოგადოებაშიაც, ნამეტურ ავსტრ-უნგრეთში. სხვათა შორის, კრაკოვში, სლავიანთა კლუბს ამის გამო განსაკუთრებული სხდომა გუმართავს, რომელზედაც პროფესორს ბოდუენ-დე-კურტენეს საინტერესო მოხსენება წაუკითხავს. სხდომას დიდძალი საზოგადოება დასწრებია, ყოფილან აგრეთვე რუსეთიდან საგანგებოდ ჩასულებიც. „პეტერბ. ვედომ."-ს კორესპონდენტი გადმოგვცემს პროფ. ბოდუენ-დე-კურტენეს მოხსენების შინაარსს, რომლიდანაც დაახლოვებით ვტყობილობთ ამ საგულისხმიერო საკითხის ისტორიასა და ვითარებას.

თავდაპირველად მომხსენებელს დამსწრეთათვის მოუხსენებია ამ საქმის ისტორია. როცა 1863 წელს პოლონეთში აჯანყება მოხდა და პოლონელებმა რუსებისაგან განთავისუფლება სცადესო, რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა მეზობელ ხალხების—პოლონელებისა და ლიტველების—ურთიერთ გავლენისაგან დაშორებაო. აჯანყება მოსპეს და მთავრობა შეუდგა თავის განზრახვის განხორციელებას. პირველად ყოვლისა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ პოლონელთაც და ლიტველთაც ერთი და იგივე ლათინური ანბანი ჰქონდათ წერისათვის სახმარებლად. აღმოჩნდა ვინმე სტ. მიკუცკი, რომელმაც განაცხადა—ლიტველთათვის სლავიანური ანბანი (კირილიცა) უფრო გამოსადეგია და მე კიდევაც შევუფარდე, შევიმუშავე ეს ანბანიო. მიკუცკის „აღმოჩენას" მაშინვე წაესარჩლენ გრაფი მურავიოვი, მილიუტინი და რუსეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი პოლონეთშიო,—ამბობს მომხსენებელი,—და მალე კიდეც მოხდა რეფორმა: აკრძალეს ლიტვურ წერისათვის ლათინური ანბანი და შემოიღეს ცოტათი გადასხვაფერებული სლავიანური კირილიცაო. ამ რეფორმითო, განაგრძო პროფ. ბოდუენმა, მაშინდელ

> რუსეთის მთავრობას ორის მიზანის აღსრულება ჰსურდა: ერთის მხრით იმედი ჰქონდა, რომ ლიტვური ლიტერატურა ან სრულიად მოისპობა ან ძალიან შევიწროვდება; მეორეს მხრით, ლიტველები და პოლონელები ერთმანეთს დაშორდებიან და მათ შორის არსებული ურთიერთობა შესუსტდებაო; სამაგიეროდ, სლავიანური ანბანი ხელს შეუწყობს ლიტველთა და რუსთა დაახლოვებას და ბოლოს ლიტველთა გარუსებასაცაო...

ისტორიულ მიმოხილვის შემდეგ პროფ. ბოდუენმა აღნიშნა ახალი ანბანის უვარგისობა ლიტველთათვის და და განაგრძო:

> მალე აღმოჩნდა, რომ მურავიოვს ტყუილი იმედი აღეძრა: სინამდვილემ გამოამჟღავნა, რომ ძველადანვე შეთვისებულის ანბანის გადაგდება ერთის კალმით მოსმით არ შეიძლება. ამიტომ რუს-ლიტველთა დაახლოვების მაგიერ, მათ შორის უთანხმოება და მალე მტრული განწყობილებაც დაიბადა... რაკი ლიტველთ მოესპოთ ღონისძიება წიგნების ლათინურის ასოებით ბეჭდვისა, წიგნების გამომცემლობა საზღვარ გარედ—პრუსსიასა და ამერიკაში—გადაიტანეს. ლიტვა აივსო კონდრაბანდათ მოტანილ წიგნებით

ურნის ყოფა-ცხოვრებას დღიურ მუშაზე უკეთეს გარემოებაში აყენებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეურნეო წარმოებას და „მესაკუთრეობას" მისთვის აზრი არ ექმნება,—იგი ხვნა-თესვასა და სოფელს მაშინვე თავს დაანებებს, როგორც-კი მოახერხებს სადმე ქალაქში სამუშაო მოიპოვოს და იქ დღიურ მუშად დაბინავდეს. სოფლის დაცარიელება და იქ მუშა-ხელის შემცირება საზარალო იქნება თვით თავად-აზნაურობისთვისაც. სოფელში წვრილი გლეხების შემცირება და უმამულოთა ქალაქებში გახიზვნა გამოიწვევს სასოფლო-მეურნეობაში დასაქირავებელ მუშის სიმცირეს და, მაშასადამე, სამუშაო ქირის გადიდებას. იმ მემამულეებს, რომლებიც დღეს თვითონ ეწევიან წარმოებას ან შემდეგში მოჰკიდებენ ხელს თავის მეურნეობის მოწყობას, გაუძნელდებათ მოქირავე მუშების შოვნა და გაუძვირდებათ წარმოება. ამ სახით თვითონ მემამულეების ეკონომიური ინტერესიც მოითხოვს, რომ მათ გლეხებს ნადელები ხელსაყრელ პირობებით შეასყიდვინონ და წვრილი მწარმოებელი სოფელს დაუკავშირონ. ხელსაყრელი-კი მხოლოდ მაშინაა გლეხისათვის მიწის შეძენა, როცა მიწის წმინდა შემოსავლიდან მასაც რამე რჩება.

ჩვენგან გამოთვლილ ციფრების მიხედვით, ერთი დესეტინა სახნავ-მიწისაგან მიღებული წმინდა შემოსავალი ეთანასწორება 8 მან. 12 კაპ. იმერეთში და 4 მან. 05 კაპ. ქართლში. ეს უნდა გაიყოს მემამულესა და მწარმოებელს შორის. მხოლოდ საკითხი ეს არის: როგორ და რა საფუძვლით,—თანასწორად თუ უთანასწოროდ? რა თქმა უნდა, თუ „სამართალს" გამოვუდგებით, მემამულეს არაფერი ერგება, რადგან ის ზნეობრივი ცნება, რომელსაც სამართალს უძახიან, მოითხოვს, რომ შრომის ნაყოფი მშრომელსავე დარჩეს სავსებით და არა იმას, ვინც არაფერს აკეთებს და სხვისი ოფლით მონაგარის შემხედვარეა. მაგრამ ჩვენ ეთიკის სამფლობელოში არ გადავდივართ და აძრულ საკითხს ეკონომიურად გარჩევთ. აქაც ეკონომიურის საფუძვლითა და მოსაზრებით შეგვიძლია წმინდა შემოსავლის განაწილება. ზემოდ ვთქვით, რომ ერთი დესეტინა მიწის საწარმოვო ხარჯს შეადგენს 35 მან. იმერეთში და 23 მ. ქართლში. ფულის პატრონს დღეს ყოველთვის შეუძლიან, სოფლად მაინც, გასესხებულ ფულში 10% სარგებელი მიიღოს. მწარმოებელ გლეხსაც იმდენი სარგებლობა მაინც უნდა მიეცეს მიწის წმინდა შემოსავლიდან, რომ საწარმოვო ხარჯების ათ-პროცენტიან სარგებელს ეთანასწორებოდეს. ეს შეადგენს დესეტინაზე გლეხის წილად 3 მან. 50 კაპ. იმერეთში და 2 მან. 30 კაპ. ქართლში. მაშასადამე, მემამულეს რენტად რჩება 4 მან. 62 კაპ. ქუთაისის გუბერნიაში და 1 მან. 75 კაპ. ტფილისისაში. თუ ამ რენტას 6%-ის კვალობაზე კაპიტალად გადავაქცევთ, გამოვა, რომ დესეტინა სახნავ მიწის ფასი შეადგენს 77 მან. იმერეთში და 29 მან. ამერეთში.

ეს არის maximum-ი, რომელიც, ჩვენის აზრით, შეიძლება ფასად დაედვას საუკეთესო სანადელო მიწებს და მის თანახმად სესხის აღება არ აზარალებს გლეხებს. საზოგადოდ მამულის წმინდა შემოსავლის გამოთვლა და მიწის შეფასება ადვილი საქმე არაა. განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სხვა-და-სხვა გვარი ნიადაგი და ჰავაა, არ შეიძლება რაიმე შაბლონურ ნორმით ხელმძღვანელობა და ყველა მიწების ერთნაირად შეფასება. საჭიროა თითოეულ პატარა კუთხის ბუნებისა და ეკონომიურ პირობების გამოკვლევა და იმათ თანახმად მიწის ღირებულობის გამოანგარიშება. ყველასთვის ერთგვარ ნორმის დადგენას ის შედეგი მოჰყვება, რომ მწირე ადგილებში მცხოვრები გლეხები, აღებულ სესხის გასტუმრების დროს, წაგებაში იქნებიან, ხოლო ისინი კი, რომელნიც უფრო ნაყოფიერ მიწებზე სახლობენ, თავის მეზობლებთან შედარებით დაუმსახურებელ სარგებლობას ნახვენ.

ქაღალდზე, რასაკვირველია, ადვილია მიწის „საშუალო მოსავლის" აღნიშვნა და „წმინდა შემოსავლის" გამოანგარიშება. მაგრამ ასევე ადვილი არაა იმის გადაწყვეტა, თუ რამდენად შეეთანხმება ეს „საშუალო მოსავალი" მიწის ნამდვილ, კონკრეტულ მოსავალს. ჩვენში სრულიად არ არსებობს მიმდინარე სამეურნეო სტატისტიკა. ამიტომ საანგარიშოდ აღებული „საშუალო მოსავალი" მიწისა შეიძლება დიდად დაშორებული იყოს მიწის ნაყოფიერებისა და ნამდვილი მოსავლისაგან. მაგალითად, ამგვარ ანგარიშის შედგენის დროს ხშირად ვახსენებთ ხოლმე „დესეტინას" და „დესეტინის მოსავალს." ნამდვილად კი დროებით ვალდებულ გლეხს დღეს არა იშვიათად არც კი აქვს ერთი დესეტინა სანადელო მიწა, ან თუ აქვს,—რამდენიმე ნაჭრად და სხვა-და-სხვა ადგილას გაფანტულად. „უსტავნი გრამოტების" შედგენის დროს ტფილისის გუბერნიის 14506 კომლ გლეხს მიეცა სანადელოდ 48566 დესეტ. სახნავ-სათიბი მიწა. ეს 48566 დესეტინა შესდგებოდა მაშინ 59903 ნაჭერისაგან. ამათგან იყო სივრცით 0—1/8 დესეტ. 14,6%, 1/8—1/4 დესეტ. 17,3%, 1/4—1/2 დესეტ. 26,4% და დანარჩენი 41,7% სივრცით თითო ნახევარ დესეტინაზე მეტი. ასე დაქუცმაცებული და დაფანტული იყო გლეხების ნადელები ჯერ კიდევ 40 წლის წინად. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ხალხი გამრავლდა და დღეს დროებით ვალდებულ გლეხს ხშირად ათ სხვა-და-სხვა ადგილას აქვს თითო მტკაველი მიწა. ეს ისეთი პატარა ნაჭრებია, რომ ზედ არა თუ გუთანი, მოკლე ერთუღლიანი კავიც-კი ვერ მოტრიალდება. ცხადია, ასეთი მიწა ბევრად ნაკლებ მოსავალს აძლევს პატრონს, ვიდრე ის მამული, რომელიც ერთს საზღვარშია და ერთისა ან რამდენისამე დესეტინისაგან შესდგება, შემოსავლის მხრით ერთი და იგივე არაა, გლეხს ათ სხვა-და-სხვა ადგილას აქვს 1/4 დესეტ. მიწა, თუ ერთ საზღვარში ერთი დესეტინა. მისი შემოსავალი უკანასკნელ შემთხვევაში შესამჩნევად მეტია, ვიდრე პირველ შემთხვევაში, როცა პატარა ნაჭრების შემუშავებაზე მეტ დროსა და შრომას ჰხარჯავს. მაშასადამე, საშუალო მოსავალი დესეტინა სანადელო მიწისა, რომელიც ჩვეულებრივ ერთი ციცქნა ნაჭრებისაგან შესდგება, მომსხო და ერთ ფარგალში მდებარე მამულებთან შედარებით, ბევრად ნაკლებ არის საანგარიშებელი.

ეს და სხვა მსგავსი გარემოებანი მხედველობაში მისაღებია ნადელების შეფასების დროს. აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა შეფასება მიწის ნამდვილ სარგებლიანობასთან იყოს შეთანხმებული და აღებული სესხი გლეხებს სამუდამო და უძლეველ ვალად არ დააწვეს კისერზე. აქ მომხდარი შეცდომა გაუსწორებელი შეცდომა იქმნება,—გლეხი ვერ მოახერხებს ვერც მემამულესათვის მიწის დაბრუნებას და ვერც შეუფერებელ ვალისაგან განთავისუფლებას. თუ მიწის მოსავალმა ვერ გაასწორა სესხის სარგებელი, მას თან და-თან „ნედოიმკები" და ამ „ნედოიმკების" გაზრდილი სარგებელი დაეწერება. და ბოლოს, ვინ იცის, იქმნება მან სულ ვერ შესძლოს ვალის გადახდა,—„გამოსყიდული" მამული ხაზინის ხელში გადავიდეს და თვითონ გლეხი გაპროლეტარდეს, დარჩეს უმამულოდ და თავის ცარიელ მკლავის ანაბარად. ხაზინა-კი თავის მიწაზე იმას დაასახლებს, ვინც მას მოესურვება და ვისი დასახლებაც მის მიზანს შეეთანხმება...

როგორც ჰხედავთ, ნადელების გამოსყიდვის საქმესთან, გარდა გლეხების ეკონომიურ ინტერესებისა, მთელი ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესიც არის შეკავშირებული. მივაქცევთ ამ გარემოებაზე ჩვენი მემამულეების შეგნებულ ნაწილის ყურადღებას. მათ ვალად აძევს იხმარონ ყოველი ღონისძიება, რომ ნადელების გამოსყიდვას არ მოჰყვეს შედეგად ზემო აღნიშნული სამწუხარო გარემოება. ჩვენი თავად-აზნაურობა უნდა უფრთხილდეს, რომ მან არ მისცეს ქართველ ხალხს ამ შემთხვევის გამო საფუძველი მას დასაგმობად და მერმისში წყევა-კრულვით მოსახსენებლად...

ფ. გოგიჩაიშვილი.

ხალხი მუქთადაც არ იღებდა სლავიანურის ანბანით დაბეჭდილ წიგნებს და დაეწაფა საზღვარ გარეთ დაბეჭდილებსა. იქიდან-კი ყოველგვარი თხზულება მოდიოდა, მათ შორის მთავრობის საწინააღმდეგოც; ასე რომ, ძველის ანბანის აკრძალვამ ხელი შეუწყო ლიტვაში სარევოლიუციო მოძღვრებათა გაძლიერებულს გავრცელებას. ამ რიგად, რეფორმებს მეტად უცნაური და მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. შეცდომა მალე შეიგნო რუსეთის პრესამა და საზოგადოებამ და ბოლოს მთავრობამაც, მაგრამ დღემდის შეუსწორებლად რჩებოდა; მხოლოდ ეხლა გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომელმაც მოსპო უსამართლო და მავნებელი აკრძალვა უძველეს დროს შეთვისებულის ანბანისა...

წერილები

ს. კიწია (სამეგრელო). უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწიაო,—ჩვენზედ არის გამოჭრილი. ისედაც არ ვიცოდით სიღარიბიდან როგორ გვეხსნა თავი და ამ ბოლო დროს ქურდებმაც მოგვიხშირეს. ისე ღამე არ გავა, რომ რამე არ მოგვპარონ. ცხენი, ხარი, ძროხას თუ მოიძევოდა სოფელში, სულ მთლად გამოგვაცალეს. გლეხი მთელი წელიწადი სამოჯამაგიროდ არის წასული, დღე და ღამე მუშაობს, რომ როგორმე ცოტაოდენი ფული იშოვოს და საჭირო საქონელი შეიძინოს და იძენს კიდევაც, მაგრამ მეორე ღამესვე ხელიდან აცლიან. სწორედ სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილნი. ზოგიერთა ქურდებმა მაინც ეს ორი თვეა სულ ბატონობა დაგვიწყეს; მოგვპარავენ ცხენს, მეორე დღეს მოვლენ ჩვენთან და გვეტყვიან: „თქვენი ცხენი სადაც არის, ჩვენ ვიცით და თუ ამდენს და ამდენს მოგვცემთ, უკანვე დაგიბრუნებთო". სამართალი სად არის, თორემ ჯერ არ გაგონილა, რომ კაცი თავის საქონელს თავისისავე ფულით ყიდულობდეს. მაგრამ რა ვქნათ? ამას კი არა, უარესს უნდა მოველოდეთ, რადგან სულ ღვთის ანაბარად ვართ მიტოვებულნი. ასეთმა ჩვენმა უკიდურესმა მდგომარეობამ პირუტყვებზედაც იქონია გავლენა. ისეთს დამშეულს საქონელს, როგორც ჩვენთან, ვერსად ვერ ნახავთ. საკვირველიც არ არის: დღისით ვამუშავებთ და ღამე კი, არავინ მოგვპაროსო— შინ ვაბამთ. დაიმშევა, მაშ რა დაემართება, საჭმელი რომ არა აქვს! ბევრჯერ ვითხოვეთ ყურადღება მოგვექციათ, მაგრამ ჩვენი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა".

გიზო

ქვემო იმერეთი. ეს რამდენიმე ხანია ქვემო იმერეთში წვიმა არ გვღირსებია. ისეთი გვალვაა, რომ სიმინდი სულ ააჭკნო. სარწყავი წყალი მხოლოდ აქა-იქაა და გაჭირვებას ვერ ჰშველის. ეს ორი უკანასკნელი წელი ხეირიანი მოსავალი არა ჰყოფილა (რაც მოვიდა, იმასაც პეპელა გაუჩნდა), რის მეოხებითაც მცხოვრებნი თითქმის დამშეულნი არიან. თუ წელსაც გაწყრა ღმერთი და ცუდი მოსავალი მოვიდა, მაშინ ხომ სულ უარესი. ბევრი ოჯახი არის სანახევროდ მშიერ-მწყურვალი, რადგან შეძლება არა აქვთ თითო ფუთ სიმინდში მანეთი—ექვსი აბაზი აძლიონ ხოლმე (აქეთ ეხლა ამ ფასებში იყიდება სიმინდი). წარსულ წლებში ქვემო იმერლები ხილს ასაღებდნენ, თუმცა ჩალის ფასად, მაგრამ ცოტაოდენ ფულს მაინც იღებდნენ; წელს-კი იმანაც გვიღალატა: ხეხილს აღარ ასხია. ვენახი ხომ კარგა ხანია გამოგვემშვიდობა. იმედი, რომელიც აბრეშუმზე იყო დამყარებული, როგორც მოგეხსენებათ, არ გამართლდა.

ვ. ედუსაშვილი

ივანდიდი (იმერეთი). ერთ თვეზედ მეტია, რაც აქ გაჩნდა ოთხი ყაჩაღი, რომელნიც გამვლელ-გამომვლელთ მოსვენებას არ აძლევენ. დახვდებიან მგზავრებს და ართმევენ ყველაფერს. აბრეშუმობის დროს, როდესაც ქალები „ბუმბრის" (აბრეშუმის დასაფენი) მოსაკრებად წასულიყვნენ, ესევე ვაჟბატონები თავს დასხმოდნენ და ერთი პატარა, თითქმის, ბავშვი გაეუპატიურებინათ. საბრალომ ეღარ აიტანა ასეთი საქციელი და სული განუტევა. ამის შემდეგ 80 მანეთი წაართვეს ერთ 17-18 წლის ყმაწვილს, რომელიც თურმე ბათუმიდან მოდიოდა და თავისი ორი წლის ნაშრომი დედ-მამასთან მიჰქონდა. ეს ყმაწვილიც მოჰკლეს და წყალში გადააგდეს. ჩემის თვალითა ვნახე ავადმყოფი, რომელიც ყაჩაღების ცემისაგან გამხდარიყო ავად. ისინი იმალებიან ამ ახლო-მახლო ტყეებში. როგორც ივანდიდლებს, ისე იმათ მეზობლებს—კუხელებს და ხონელებს—ძალიან ეშინიანთ ამ ვაჟბატონებისა: ყოველ დღე თავზედ დაცემას მოელიან.

ვ. სიმართლეძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივლისი

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდან 15 ივლისს არავითარი ცნობა არ მოსულა.

ლონდონი. პალატის სხდომის დაწყების წინ შესდგა კარგა ხანგრძლივი სხდომა ინგლისის საზღვრების დაცვის კომისიისა ბალფურის თავმჯდომარეობით. როგორც სჩანს, კომისიას მსჯელობა ჰქონდა ჯერ კიდევ გამოურკვეველ კითხვაზე შესახებ რუსეთისა.

ლონდონი. ქვემო პალატა. მთავრობას შეეკითხნენ „მალაკკა"-სა და სხვა გემების დაკავების შესახებ წითელ ზღვაში. ბალფურმა განაცხადა, იმედი მაქვს ხვალ მოგცემთ მოკლე პასუხს ამ შეკითხვაზეო. „ნაიტ-კომანდერი"-ს დაღუპვის გამო ბალფურმა სთქვა, რომ დღეს მიღებული ცნობა ყოველ ეჭვს აჰარწყლებს ამ სამწუხარო შეკითხვის შესახებო; თან პირველ მინისტრმა შიში გამოსთქვა, რომ ეს შეკითხვა შეიძლება აღმოჩნდეს საერთაშორისო უფლების დამრღვეველიო.

ტოკიო. („ვოლფ. სააგ."). ოფიციალური. მანჯურიის არმიის მთავარ-სარდალი იუწყება, რომ 12 ივლისს იაპონელების ჯარმა დაიჭირა ნიუჩუანი. ჯერ ქალაქში ცხენოსანი ჯარის რაზმი გაგზავნეს იაპონელებმა, შემდეგ კი ქვევითა ჯარის რაზმი. ორივე რაზმი შემდეგ ნიუ-ჩატუნში წაიყვანეს ნიუჩუანიდან 3 მილის მანძილზე. ქალაქში იმდენი ჯარი დასტოვეს, რამდენიც საჭიროა საპოლიციო სამსახურისათვის. გენ. ოკუ იუწყება: „იაპონელთა არმიამ გამოილაშქრა 11 ივლისს მტრის წინააღმდეგ, რომელიც იდგა ტაპინლინთან და სხვა ძლიერ გამაგრებულ სიმაგრეებზე დაშიჩაოს ახლოს. რუსების ჯარი ათი მილის მანძილზე იდგა. ჩვენ დარაზმულ ჯარის ფრონტს რუსები საღამომდის უშენდნენ ყუმბარებს. საღამოს 10 საათზე ჩვენი მარჯვენა ფრთის ერთმა რაზმმა უკან დაახევინა რუსებს ტაპინლინის პოზიციიდან. ამის შემდეგ ჩვენ ხელში ჩავიგდეთ სხვა პოზიციები მაღლობ ადგილებზე, დაშიჩაოს ახლოს და ამ პოზიციის უკან გამოვედევნეთ რუსის ჯარს. ჩვენი ზარალი 800 კაცამდეა".

ტოკიო. ოკუ ოფიციალურად იუწყება, რომ 12 ივლისს რუსის ჯარების დევნის დროს იაპონიის არმია დაშიჩაოდან ჩრდილოეთისკენ გაემართა. რუსებმა ამ სადგურიდან ჩრდილოეთისკენ დაიხიეს. ნიუჩუანი იწვის.

მუკდენი. ბევრნი მოწმობენ, რომ იაპონელები დაზვერვის დროს ჩინელთა ტანისამოსს იცვამენ, მთებიდან თვალ-ყურს ადევნებენ ჩვენი ჯარების მოძრაობას და ამბავს სიგნალებით ატყობინებენ თავის მზვერავ რაზმებს. ამ ჟამად არმიას ებრძანა, როცა ამ გვარ ჯაშუშებს მთებზე დაინახავენ, სროლა აუტეხონ.

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). დაშიჩაოდან წასვლამდე რუსებმა ცეცხლი წაუკიდეს, როგორც დაშიჩაოს სადგურს, ისე ახლო-მახლო ქალაქებს (?). მდინარე ლიახეზე გახსნილია სანეიტრალო სავაჭრო გემებისათვის.

იოკოჰამა. („რეიტ. სააგ."). იუწყებიან რომ საერთო იერიში პორტ-არტურზე დაიწყო 13 ივლისს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ."). 36 საათის წინად პორტ-არტურიდან გამოქცეული ჩინელები ამბობენ, რომ რუსის სამი დიდი გემი პორტ-არტურიდან გამოვიდაო.—გენერალ სტესელის აგენტი, რუსის აფიცერი, აქ მოვიდა პორტ-არტურის ვერფისათვის ფოლადის სასყიდლად. იმის სიტყვით, მეციხოვნენი დარწმუნებულნი არიან, რომ ციხე გაუძლებს ალყას.

შანჰაი. („რეიტ. სააგ."). რადგან იაპონელთა დაგუშანის არმიამ დაიჭირა რაიჩენის აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეები, შეუძლებელია ხაიჩენის დაცვა. ჰფიქრობენ, რომ რუსები წინააღმდეგობას გაუწევენ ხაიჩენსა და ანშანჩანს შუა.

ინკოუ. („რეიტ. სააგ."). ნიუჩუანში მოვიდა იაპონელთა ქვევითა ჯარის რაზმი. სალდათები მეტად პატარა ტანისა არიან და კაცს კადეტები ჰგონია. დუქნები ხელ-ახლა გაიხსნა. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

ტიანძინი. („რეიტ. სააგ."). ნიუჩუანიდან მოსულნი ამბობენ, რომ მდინარე განთავისუფლებულ იქმნა ნაღმებისაგან, კარანტინი, რომელიც ხელს უშლიდა ნაოსნობას, გაუქმდა. როდესაც რუსები წავიდნენ, იაპონელების შემოსვლამდე ჩინელები ძარცვავდნენ განაპირა უბნებს და უცხოელთა პატარა დუქნებს. იაპონელებმა წესიერება აღადგინეს.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტმა ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას და შეეკითხა, განთავისუფლებულია თუ არა ერთი ამერიკულ ფირმის მიერ დაქირავებული გემი „არაბია"? რუსეთის მთავრობამ მიუგო, რადგან „არაბია" ჯერ არ მისულა ვლადივოსტოკში, ამ საქმის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვსო. ამერიკის ნოტის კილო ზომიერია.

15 ივლისი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის მკვლელი შეიპყრეს.

შაცკი. უმაღლესად ნებადართულია დაარსონ ქალაქში რეალური სასწავლებელი.

ყაზანი. გამოირკვა, რომ ხატის სამოსელი, რომლის პატრონს დაეძებდნენ, 29 თებერვალს მოუპარავთ რიაზანის ერთ-ერთ ეკკლესიიდან.

16 ივლისი

კონსტანტინეპოლი. რუსეთის საელჩომ გამოაცხადა, რომ ხმა, ვითომც ლაპარაკი იყოს გამართული ოსმალეთის სამხედრო კონტრიბუციის საბოლოო გადახდაზე ახლო მომავალში, მოკლებულია ყოველ საფუძველს.

პარიზი. დელკასემ დეპეშით მისწერა ბომპარს, რომ საფრანგეთის მთავრობის სახელით სამძიმარი გამოუცხადოს რუსეთის მთავრობასა და სტატს სეკრეტრის ქვრივს.

პარიზი. სტატ-სეკრეტრის ფონ პლევეს მოკვლის გამო „ჟურნალ დე დება" ამბობს: აღშფოთებისა და გაკიცხვის გრძნობას თან ერთვის განცვიფრება, რომ მოიპოვებიან რუსები გადაგვარებულის ეროვნულის გრძნობით, რომელთაც, მიუხედავათ სახელმწიფოს დაბრკოლებისა გარეთ, შეუძლიათ გაუწიონ დაბრკოლება მთავრობას მის შინაურ პოლიტიკაშიაც. ამიტომაც ფონ-პლევეს მოკვლა მით უფრო სამარცხვინოა.

ბერლინი. გერმანიის მაღალ ოფიციალურ წრეებში მწუხარებას აცხადებენ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის სიკვდილის გამო. ეს მწუხარება ბოროტ-მოქმედების გამო მით უფრო ძლიერია, რომ განსვენებულ მინისტრს რამდენჯერმე გამოუცხადებია თავის თავი გერმანიასთან მომხრედ. კანცლერმა სამძიმარი გამოუცხადა რუსეთის ელჩს.

ბერლინი. დღეს აქ ხელი მოაწერეს რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობას.

პეტერბურგი. 16 ივლისს დილის 10 საათზე, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ბალტიის რკინის გზის სადგურზე მიდიოდა პეტერგოფს წასასვლელად, იზმაილოვის პროსპექტზე ვიღაც კაცმა, რომელიც ტროტუართან იდგა, მინისტრის კარეტას ქვეშ ყუმბარა შეაგდო, რომელიც გასქდა და მოჰკლა მინისტრი და მისი მეეტლე გლეხი ფილიპოვი. შემთხვევით იქ დამწრეთა შორის მძიმედ დაიჭრა სემენოვის პოლკის კაპიტანი ცვეცინსკი; დაიჭრნენ აგრეთვე სალდათი ფრიზენბურგი, კანტორაში მოსამსახურე მოშკოვსკი, მეეტლე კრაინოვი, მღებავი ხრომცოვი, არტელშჩიკი აფანასიევი, ნიკოლაევის რკინის გზის კანტორაში მოსამსახურე ლავრენტიევი, ტიმოფეევის ქალი, მისი შვილი შვილი, სამი წლის ბავშვი და სათადარიგო ჯარის კაცი გარტმანი. მკვლელი, რომელიც ყუმბარის აფეთქების დროს რამდენიმე ალაგას მსუბუქად დაიჭრა, იქვე დააპატიმრეს. მკვლელმა თავის სახელი არ გამოაცხადა. ამ საქმის გამოძიებას შეუდგა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი.

რომი. მთავრობამ მიანდო თავის ელჩს მორრას სამძიმარი გამოუცხადოს რუსეთის მთავრობას პლევეს მოკვლის გამო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	—	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92½	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88⅞	
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	392½	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	303	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	262	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირაგ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	187	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ზორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით სახატებიდან.

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН
Т.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ს. გრანიის ახლოს. (წ.—176—60)

ახალი გახსნილი
სასტუმრო არკადია ნომრებით
(ყოფილი „იალტა")
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ., უსასმელებოთ და ყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. სა. (88—52—42)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მზრუნველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

Доз. цензурою. 16 Іюля 1904 г. [illegible] წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ობა. Типограф. Груз. Изд. То—ва